იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი, დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. სახლვარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამ�-ოვიანრო განცხადების დაბეჭდვა. პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

შაბათი, 6 სეკტემბერი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი“.

თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 147 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 წ. № 147

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის redakciiitan და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის.

გაზეთის ფასი:	ერთი წლით	7 მანეთი.
	ნახევარი წლით	4 მანეთი.
	ერთი თვით	3 აბაზი.
	და ცალკე ნუმერის	1 შაური.

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვისაც—ორი მანეთი. სახლვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მან. ნახევარი წლითა—8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქალაქის ცალ გვერდზე გარკვევით და გაურკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

პორუჩიკი კონსტანტინე იესეს ძე იოსელიანი მეუღლე მისი ალექსანდრა მიხეილის ასული შვილები მათი ვლადიმერ პორუჩიკი მიხეილი, პოდპორუჩიკი შალვა, დავითი, მარიამი, დესპინე, ლუბა იოსელიანები, ანნა ლოდებერძიძისა და სალომე რაქდენის ასული კნეინა აბაშიძისა დიდის მწუხარებით აცნობებენ ნათესავსა, ნაცნობთ და შეგობართ უფროფოთ გადაცვალებას პირველნი ორნი უსაყვარლესი შვილისას მეორენი რვანი ძეიფფალი ძმისა და უკანისკნელი შვილის შვილისა პოდპორუჩიკის

გრიგოლ (გრიშა) იოსელიანისას.

სთხოვენ მობძანდეთ და ანუგეშოთ ღრმა მწუხარებაში მყოფნი პირისუფალნი 7 ამა ენკენისთვეს ნაშუადღევის ოთხ საათზე ორპირის ქუჩის შესახვევში სახლი ფირან ომიდაძისა, საიდანაც წაიყვანენენ ოღოსკერის სასაფლაოზედ პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე ცალკე დაპატიჟება არ იქნება. 2—2

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში.

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდადი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. ბრძანებიან წიგნის მაღაზიასა, სასადილო შოდებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს დაეთმობათ საღაკთან პირობებში წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამაჩენილ ფირმებისაგან და ამიტომ ეროვნებაგარ სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება

ალიერ იაფათ

აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიის შეუძლია რვეულები იქონიოს უკეთესი და გაეიაფოს ზომიერ ფასით.

ქუთაისში.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების

მაღაზია

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მოვავალი წლისათვის

მას დამზადებული აქვს დიდძალი **სახელმძღვანელო** ქუთაისის გუბერნიის საშუალო და დასაწყისს სასწავლებელში სახმარი, აგრეთვე საკითხავი წიგნები, რუსეთისა და კავკასიაში გამოცემული. აქვე იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო ნივთები, რვეულები, საუკეთესო ღირსების ქაღალდისა (თ. დ პასკევიჩის ფაბრიკისა), კარანდაშები, კალმები, კალმის ტარები, სხვადასხვა ღირსების ფოსტისა და საწერი ქაღალდი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთები.

ბოლოშად მეადგილეს ფასი დაეთმობა მორგებით.

ვაცხადებ

ჩემ თხზულებებზე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ მეორე წიგნის ბეჭდვა უნდა დამეწყო ამ ზაფხულს მაგრამ, რადგანაც ამ ჟამთა წინასწარი **სამხედრო ტანსურა დაწესდა, წიგნის ბეჭდვა დროებით შეგაჩერე.**

საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისას ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილებთ.

აქვე ვაცხადებ, რომ ბ-ნი ა. ცინცაძე აღარ ითვლება ჩემ თხზულებათა გამომცემლათ. მას ყოველივე ანგარიში ჩამოერთვა და პირდაპირი პასუხი მგებელი მე გახლავართ.

ია ეკალაძე.

განცხადება.

ამა ათას ცხრაას თოთხმეტ წლის ენკენისთვიდან გაიხსნება ქალთა

სახელოსნო

ჭრა-კერვის სამკლასიანი სასწავლებელი,

რომელიც ქუთაისის საზოგადოებამ უკვე იცის.

მსურველთაგან თხოვნების მიღება შეიძლება დიდის ათ საათიდან ნაშუადღევამდე 2-მდი სკოლის გამგის **ოლღა ლუკას ასულის ძოკრაკაშვილის** სახელზე. სწავლის ფასი: 1 კლასში—20; მე-2 კლასში—25 და მესამე კლასში 30 მან.

მისამართი: თფილისის ქუჩა, ნიკოლაძის სახლი.

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის

სამთო ტექნიკური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მისადები ეგზამენები პირველ კლასში მოხდება 15 სექტემბერს. მიიღებენ ისეთებს, რომელთაც სამოქალაქო სასწავლებელი აქვთ გათავებული, ან სხვა ამისი თანასწორი პროგრამის შეოლა. გამოცდა იქნება რუსულ ენაში, გეომეტრიასა და არითმეტიკაში. თხოვნები და საბუთები მიიღება სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე 14 სექტემბრამდი. 5—3

ექიმი ივ. ბოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ასლა ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმოყოფებს დებულობენ ყოველ დროს.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოთხე **პირველი**

საგუჰგალტრო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორ ვე სქემითის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მოწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას. ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსელისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომიას; ანგარიშ ჩოტებზე და კალიგრაფიას- არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭდვას. მასწავლებლები—თვითონ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ინსტიტუტი სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწყდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს. კურსების თვამდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744.

ჭრა-კერვის და საუცხოვო ხელსაქმის

ოკოლა მიქელაძისა

გადავიდა

თფილისის ქუჩაზე მოსიძის სახლში კანდელაკის ყოფ.

მიიღება დაკვეთა

ქალაქის ტანისამოსებისა, საცვლებისა, და საუცხოვო ნაწარმოებისა ფასები ზომიერია.

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი

გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსეს ბაძრაძის სახლეში.

ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ზე კლასი. აქვე არის გახსნილი საანმანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალოდნელად დილის 9 სა. 2 საათამდე

ექიმი გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი ბავშვებისა და ნერვიგან ენეულებანი) დილით 9—2 საათამდი თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი გრიგოლ ალშიბაია უკვე დაბრუნდა და გააგრძელებს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

ელექტროლენის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

ექიმის გაბრიელ იოსეფის ძის გოკიელის შინაგანი ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი მ. დ. ბეთანოვი იღებს კანინა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავათმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ექიმი ს. ი. ბეგოვი იღებს ავათმყოფებს დილის 8—12 ს. საღამოს 5—8 ს. კათოლიკების ქუჩა, საკუთარი სახლი ტელეფონი № 121 თ.

კ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება, საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონი შენათება (ციტოსკოპით) ათაშნგის წამლისა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანა. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5 —7 საათ.

მისამართი: ქარვასლის და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

ექიმი ს. ა. ცეიტლინი. კბილების და პირის აავთმყოფობა.

ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და 4 —7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა, სახაზინო პალატის გვერდით. ტელეფონი 153.

ექიმი ი. ჩარქოვი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანონ, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე ყილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

დოქტორი მედიცინისა, პრივატდოცენტი ვ. ჯ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ЕВРОПИС ОМИ.

პეტროგრადის დეპეშათა საგენტოსაგან.

საფრანგეთის ბრძოლის ველზე.

ლონდონი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ მდინარე ენის მახლობლათ თავდასხმა გრძელდებოო. მტერმა რამდენჯერმე მოიტანა კონტრიერიში, მაგრამ უშედეგოთ. გერმანიის ჯარი თანდათან უკან იხევდა საფრანგეთისა და ინგლისის ჯართან ბრძოლაში. მოკავშირეთა ჯარის მარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფრთაზე მტერმა დიდი დანაკლისი ნახა. ტყვეთ წამოიყვანეს ორასამდი კაცი.

ბელგიაში.

ლონდონი. ანტვერპენიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის გენერალ გუბერნატორმა ფონ-დერ გოლცმა გამოუცხადა მაღლობა მცხოვრებთ მათდამი კარგ დამოკიდებულების გამოჩენის გამო და გაფრთხილება უსიამოვნებას ნუ მიაყენებთ უკან დაბრუნებულ ჯარსაო.

იტალიაში.

კოპენჰაგენი. ფრანკ-ფურტერ-ცეიტუნგს რომიდან ატყობინებენ, რომ საფრანგეთის ჯარის გამარჯვებისა და მარნთან გერმანიის ჯარის უკან დახევის ცნობამ გერმანიის მოწინააღმდეგე წრეებში ანტიგერმანული მოძრაობა გააძლიერაო. რომსა და გენტში გერმანიის საწინააღმდეგოთ მოხდა მანიფესტაცია რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

გერმანიის კრეისერის აფეთქება.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: წყალქვეშ მავალ გემმა „ეულმა“ ააფეთქა გერმანიის კრეისერი გელა და მშვიდობიანათ უკანვე დაბრუნდაო.

იტალიის მთავრობის განცხადება.

რომი. ზოგიერთ ორგანოებში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მსჯელობის გამო გამოვიდა ოფიციალური ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ იტალიის მთავრობას მისი განზრახვათა გამოთქმა არავისთვის არ დაუვალებია. მთავრობას, ხალხის უმრავლესობისაგან მხარგამაგრებულს, კარგად ესმის დღევანდელი დიდი პასუხისმგებლობა და უმადლესი მოვალეობა, რომელსაც უკარნახებს სინდისი და განსაკუთრებული ინტერესები იტალიისა.

რუმინია და იტალია.

რომი. რუმინიის მისიის წევრები, რომელნიც მოვიდენ რომში და რომელშიც შედის ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი ისტრატი და ძმა რომში მყოფ რუმინიის ელჩისა დომანდა, ქონდა მოლაპარაკება სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. რუმინიის ორი დეპუტატი, რომლებიც ახლა რომში იმყოფებიან, დარჩებიან ერთ კვირას და იშუამდგომლებენ, რომ ისინი მინისტრთა

ВАРТОТ ОМИ ШИН МОЗИДОМБА?!

არ მეგონა, სწორეთ არ მეგონა, მართალი უნდა მოგახსენო, თუ „მეგობრის“ სახელით ახლანდელი სისხლის ღვრისა და ერთაშორის წყლა-გლეჯის დროს მკითხველთან საუბარს კიდევ-ღა გავმართავდი.

მაგრამ დღევანდელი დღე არა ჩვეულებრივი ქამია: ყველას უნდა რისამე თქმა, მაგრამ პირი ყველას წყლითა აქვს სავსე.

პირში წყლის დაბუგება არც მე მაკლია, დიდს რასმე მეც ვერ მოვახსენებ მკითხველს დღევანდელი დღის ავ-კარგის შესახებ, მაგრამ სულ არაერთამას კიდევ ისა სჯობია, რომ საამდროვო თავშესაქცევათ ცოტა რამ მაინცა ვსთქვათ აქეთური, იქითური, აქაური, იქაური.

დიაღ, აქაურობას ჯვარი სწერია და იქაურობაში კი, ევროპის არე-მარეზე სწორეთ რომ მეორეთ მოსვლის წინადღეები დგება და მეორეთ მოსვლა ხომ უანტიქრისტეოთ არ შეიძლება:

აი, ახლანდელი ანტიქრისტეთ დღევანდელი ევროპის პოლიტიკოსები და დიპლომატები გერმანიის მბრძანებელსა და ერსა სთელიან.

ანტიქრისტეთქო იმისთვის მოგახსენეთ, რო თუ არ ანტიქრისტეს, ამა ვის შეეძლო ასეთი რიხით გამოსვლა ისეთი მდგომარეობის წინააღმდეგ, როგორც ბრძანდებიან დიდი რუსეთი, მეცნიერების და მოდის წინამძღვარი-საფრანგეთი და ს

ომის ამბები.

აღმოსავლეთის აკენ.

ავსტრიის ორივე ჯარი, რომელიც ლვოვის ჩრდილოეთით მოქმედებდა დამარცხდა. მარცხენა ფრთის ჯარი გენერალის აუფენბერგისა 28 აგვისტოს გაძეგებულიქნა გამაგრებული პოზიციებიდ 5 ოპოლიეტურობინაზედის, რომელთა სიგრძე ულრის 60 ვერსს. აქ უნდა იდგეს დაახლოებით ერთი კორპუსი ავსტრიელ-გერმანელთა ჯარისა. ავსტრიელებს მისდევდენ ჩვენი ჯარები აქ 40 ვერსზე, ე. ი. ავსტრიის საზღვარამდის. ავსტრიელები უნდა შორადენ ახლა მდინარე სანს მხოლოდ 10—12 ვერსით. ახლა ამ მდინარეზე გადადიან, თუმცა ამ გადასვლას ხელს უშლიან ჩვენი ცხენოსნები ზურგიდან. ჩვენ ავიღეთ ტომაშოვი. ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენ გავარღვიეთ გენერალ დანკლოს ცენტრი. რადგანაც ამ ჯარის ორსავე ფრთას შემოვუარეთ ბელ ხელზედ, მას მეტი გზა არ აქვს, უნდა უშველოს თავს გაქცევით.

აუფენბერგისა და დანკლის დამარცხებულ ჯარების მისაშველებლად გერმანელებმა გაგზავნეს გალიციაში 4 კორპუსი, ე. ი. 160,000 ჯარის კაცი, რომ მაშველი ჯარი არ მოსულდათ, ავსტრიელები ვერ შეარჩენდნენ ამ ხუთი დღის განმავლობაში პოზიციებს "გორლო

— საკვაბრო სახლი —

ი. გოკიელის ოვ-ბის

ქუთაისში.

ამით აუწყებს მოსწავლე-ახალგაზდობას

რომ მთ მაღაზიაში მიღებული

დიდი ასარჩევი

აუცილებელი საწერი, სახატავი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთი ფასება ხელმისაწვდომია. თანახმად კიევასის საოლქო მზრუნველის წინადადებისა, ჩვენ მიერ გამოცემუ ლ-ვ.ულებსა ტ ლ-ურებზე მოთავსებულია დარიგებანი თუ როგორ შეიძლება თავის დაღწევა (მალარი.აკან) ციებისაგან, ქოლერა და წამლობა.

ხელახლად ჩვენ-მიერ გამოცემულია

დღიურები მოწაფეთათვის, რომლებიც სავსებით მოწაფეთა მოთხოვნილებებზეა შეთანხმებული. დღიურები დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და მიუხედავად ამისა ფასები დატოვებულია წასული წლის.

ქალთა უმაღლეს საპოლიტეხნიკო კურსების მსმენელი, 6) ალექსანდრე დმიტრის ძე ცაცინშვილი, პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი, 7) ნიკოლოზ ივანეს ძე მაჩაბელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი და 8) რაფაელ ნიკოლაძე, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. ამ პირთ სტიპენდიის სახით ამ დენი მიეცემათ, რამდენიც დ. სარაჯიშვილის კანტორიდან ეძლეოდათ, ზოგს 300 მანეთზე მეტი, ზოგს ნაკლები, მხოლოდ უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმისა, რომ ზემოხსენებულ სასწავლებლებში სწავლობენ. **ზუბალაშვილის** სახელობის სტიპენდია ოთხი იყო. ამათში ორი უნდა მიეცეს ქართველ მაჰმადიანებს, რომელნიც ქართულ სათავადაზნაურო სასწავლებელში ისწავლიან და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შევლენ, ერთი დაენიშნა პავლე ინგოროყვას და ერთიც გაყოფილი იქმნა ორად. ერთი ნახევარი მიეკა ალ. დმიტრის ძე სოლოლაშვილს, რომელიც სამეურნეო სასწავლებელში მიდის, ხოლო მეორე ნახევარი—დავით გიორგის ძე მელაძეს, რომელიც სტეპნოკო სასწავლებელში აპირებს სწავლას. **ლოლობერიძის** სახელობის სტიპენდია ერთი იყო, რომელიც კენტეს ყრით ერგო ილია ტოროშელიძეს, ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემათიკურ ფაკულტეტის სტუდენტს.

— **ღვინის გაყიდვის ნება უკვე დართო** მეფ-ს მოადგილეს, რომელმაც ამასთანავე საჭიროდ სცნო ღვინის ვაჭრობის შემდეგ სავალდებულო წესების გამოცემა: 1) ღვინო არ უნდა მიპყიდონ ჯარის კაცებს, 2) აღკრძალულია ღვინის ვაჭრობა ამიერ კავკასიის რკინის გზის ყველა სადგურის ბუფეტებში, 3) აღკრძალულია ღვინის ვაჭრობა სოფლის იმ ადგილებში, რომელნიც რკინის გზის სადგურებსა და პლატფორმებს მხოლოდ სამის ვერსით არიან დაშორებულნი. 4) აღკრძალულია სოფლად ღვინის გაყიდვა ჯარის გაელის დროს, 5) აღკრძალულია ღვინის სმა ქალაქ-დაბების მეორე და მესამე ხარისხოვან სატრაქტირო დაწესებულებებში, 6) წინა მუხლში აღნიშნულმა დაწესებულებებმა ღვინო მხოლოდ ბანდეროლიან, ან ეტიკეტიან ბოთლებით უნდა გაჰყიდონ, 7) ქალაქ-დაბებში აღკრძალულია ღვინის გაყიდვა ბაზარში და მოედნებზე, 8) აღკრძალულია დამზადება და გაყიდვა ისეთ ღვინისა, რომელსაც 10 გრადუსზე მეტი სიმაგრე აქვნია და 9) ამ წესების დამრღვევნი დისჯებიან სამის თვის ციხით, ან 3,000 მან. ჯარიმას გადაახდევინებენ.

— **მასწავლებლების დანიშვნა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ ყალამშიის სკოლის მასწავლებლად ოანიშნა მიხეილ ბერგეაძე, ხოლო ზრომის სკოლაში მეორე მასწავლებლად მიიწვია ელენე ახმეტელაშვილი.

— ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, შეიძინოს ფ. გ. გოგიჩაიშვილისგან 3.700 მანეთის სასწავლო ნივთები და მოწყობილობა. საქონელს ფრიგეთ დაიწყობენ საზოგადოების კანცელარიაში გამგეობამ აგრეთვე ითათფირა იმის შესახებ, თუ სად იქნეს გადატანილი საზოგადოების წიგნის მაღაზია. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა სხვა დროისთვის გადადგა.

— ახალი სასწავლებელი. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების ახალციხის განყოფილებას განზრახვა აქვს, სამი-ოთხი ქართული სკოლა დაარსოს ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში. განყოფილებას აზრად, აქვს პირველი სკოლა გახსნას ს. კლდეში და თუ აქ არ მოხერხდება, ს. ტატანისში.

დაბა-სოფელი.

ს. ჭალა. (შორაპ. მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს დ სარხერედან 8 ვერსზე. მდებარეობა სოფლისა საუცხოვოა, შუაში ჩამოუდის მდ. ყვირილა და ირგვლივ სერები დფარული ტყეებით და ყოველივე ეს საგრარაკო ელფურსა ფენს ამ არე-მარეს. მოსავლის მხრითაც ვერავინ დამდეფრება. მეცხოვრეთა მეტი ნაწილი შესდგება აზ. აბაშიძეთაგან, რომელთაც მამულია და მდგომარეობაც ხელს უწყობდა, რომ სწავლა-განათლებითაც დაწინაურებულიყო ეს სოფელი და ზემო იმერეთში თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა, მაგრამ, საუბედუროდ სულ სხვასა ვხედავთ. ამ მოდენა სოფელში სანთლითაც რომ ეძიოთ ორ-სამ მკვიდრთა-განსაკ ვერ ნახავთ ნასწავლ „ინტელიგენტს“. შეკითხვაზე—თუ რატომ არ ეცადენ შვილების აღზრდას—გულმტკივნეულათ მომიგო ერთმა აზნაურმა: ეცადეთ, დავბარჯეთ კიდეც, მაგრამ ნიჭი არ გამოუყავთ ღ სხვ. ამიტომაა, რომ აქ ვერ შეხვდებით ვერავითარ განმანათლებელ დაწესებულებას და ხალხი მხოლოდ ჩრდილში მწვანეზე ერთობა. ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ განუზრახავთ სამკითხველოს დაარსება და ამ მიზნით წარმოდგენაც გაემართავთ, მაგრამ ჯერ-კიდევ არაფერი გაკეთებული. აქ არსებობს მხოლოდ ერთი სამრეველო სკოლა და ისიც სანანავროთ ცარიელია. სამაგიეროთ დდომები და ცრუმორწმუნეობა მკვიდრ ნიადაგზე დგას.

მეურნეობის გაუმჯობესებაზეც არაფერ ზრუნავს აქ, მიუხედავად იმისა, რომ მწყი ნოყიერია; მისი დამუშავება ძველი პრიმიტიული საშუალებით წარმოებს. ამ მხრით მეტი მოეთხოვება აზნაურობას, რომელთა რიცხვიც 70 კომლამდეა, ადგილ-მამულიც ხელს უწყობს და ისინიც, როგორც გლეხნი, შრომაში არიან ჩამბული; ისინიც სიღარიბეს განიცდიან და მოსალოდნელია სრულიად დაქვეითება, თუ დროით არ ეშველს ალღო თანამედროვე მოთხოვნილებისა და მეურნეობის საკითხს ყურადღება არ მიაქციეს.

წრეგანდელი წელიწადი ვერაფერი საინუგეშოა აქით: მუდმივმა წვიმებმა ხელი შეუშალა სამიდის მოსავლის; ყურძენი გაფუქდა და ნაწილი პურიც გაფლეწვია. ომიანობამ ბევრი მშრომელი მარკვნა მოაკლო სოფელს, მაგრამ სოფლელების სულისკვეთებ მაინც ომაზია საერთოდ: „თუნდ დიდი მსხვერპლი მოყვეს ამ ომიანობას, ოღონდ გამარჯვებამ აქით გადმოიხაროს და კიდევ არა უშავსო“ ამბობენ. ყველა გამვლელ-გამომვლელს ეკითხებიან ამბებს, ხოლო თითონ კი გაურბიან გაზეთის გამოსაწერათ გროშების გამეტებას.

24 აგვისტოს აქ მოწას მიაბარეს დარბაისელი და საზოგადოების მოსიყვარულე ადამიანი დარიკო ჩარკვიანის ასული აბაშიძისა; მეუღლე ღენტორ სიმონისძე აბაშიძისა (თოთიკაშვილი) გასვენების დღეს ბევრ ხალხს მოეყარა თავი ახლომახლო სოფლებიდან და გაწყრილვალი წოდებისა, ყველა გულითა სწუხდა. განსაკუთრებით არ შრებოდა გლეხების თვალებზე ცრემლი, რაც იშვიათი შემთხვევაა. ეს მანდილოსანი, მართლდაც, საყვარელი ადამიანი იყო ყველასათვის. საზოგადო საქმეებსაც გულგრილოთ არ ეკიდებოდა, თუმცა მას თანამკრძალნობნი ცოტანი ყვანდენ, რაც მისი სუფთელის განზორციელებას ხელს უშლიდა. განსვენებულს გრძნობით სავსე სიტყვები უძღვნა მოხუცმა აკაკიმ, სადაც აღნიშნა მისი საუკეთესო ღირსებები და ისიც სთქვა, რომ ის ყველას ვერ ეტყვის ისეთ სიტყვებს. შემდეგ განსვენებულს სიტყვა უთხრა ვარდენ ღვანკოთელმა.

ა. ხაბულიანი.

წერილი რედაქციის მიმართ.*)

ბ. რედაქტორო.

სიამოვნებით ვუუერ მხარს თქვენს პატივცემული გაზეთის 131 №-ში ბ. კაკაბაძის მიერ ჩემდამი მომართულ წინადადებას და გამოვდივარ სამედიატორო სასამართლოში. სამედიატორო სასამართლოს ოქმ მე არასოდეს არ გავეცანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. კაკაბაძე მე მიგზავნიდა მხოლოდ მუქარის წერილებს, რომლებშიაც მაშინებდა ორი სამოქალაქო და ერთი სისხლის სამართალით. მხოლოდ ერთხელ და ისიც ამ ბოლო დროს ბ. კაკაბაძემ სუსტი თანხმობა გამოსთქვა სამედიატორო სასამართლოზე, იხ. „თემი“ 185 № რი. მხლოდ ამ ბოლო დროს მაღირსა ბ. კაკაბაძემ სამედიატორო სასამართლოში გამოწვევა. ძლიერ სასიამოვნოა ბ. კაკაბაძის მიერ შედგენილ სამედიატორო სასამართლოს განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც მან გამოსთქვა თქვენს გაზეთის 131 № ში, მე ვავსებენ ვუუერ მხარს. ამისთვის მე, თანახმად ბ. კაკაბაძისავე წინადადებისა, მისივე წესისაებრ, ავიარჩე მედიატორები. ბ. კაკაბაძემ უნდა დაუყონებლივ სთხოვოს თავის მედიატორებს მომმართონ ამ აღრესით:

თფილისი, ალექსარი, კაბაგროვის ქუჩა, სახლი 29. **იუსტინე აბულაძე.**

2 სეპტემბერი, 1914 წ.

გაზ. „იმერეთის“ 124 და 127 ნომრებში მოთავსებული იყო ორი წერილი ბ ნი მოდებაძისა, რომლის პასუხად ვსთხოვ რედაქციას **დამიბეჭდოს** შემდეგი: ავტორი ხელნაწერი წერილებისა ბ ნი მოდებაძე, რომელიც ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში ასრულებდა ნემეცური ენის მასწავლებლის მოვალეობას, ცილისწამებისთვის ეძიებდა ჩემ მიერ სასჯელის სამართლის პასუხისგებაში.

დრ. აღმასრულებელი სასწავლებლის ინსპექტ. მოვალეობისა **ლ. მირონინი.**

*) უმორჩილესად გთხოვთ ამ პეირეფ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ბ. კაკაბაძის დანარჩენ დაუსაბუთებლად გამოთქმულ ბრალდებასა და აშკარა ცილისწამებას პასუხის ღირსად არა ვსთვლი. **ი. ა.**

რედ.-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

ბეზია

მ. მ. კოტრეიძე

უცრის ყველის, უყეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავთმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ღარიბებს უფასოთ

ალექსანდრეთის ქუჩა, სახლი თვალდარბაზისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

22 აგვისტოდან გამოდის

ეროვნულ-დემოკრატიული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი აზრი“

გაზეთი გამოდის ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

გაზეთის ღირს:

თფილისში.		თფილის გარეთ	
წლიურათ	6 მ. — კ.	წლიურათ	6 მ. 50 კ.
6 თვით	3 „ — „	6 თვით	3 „ 50 „
3 თვით	1 „ 50 „	3 თვით	1 „ 70 „
1 თვით	— „ 60 „	1 თვით	— „ 70 „

კანტორის აღრესი: Тифлисъ, Орбеліановская улица, № 36. ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგი აღრესით: Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36. სხვა აღრესით გამოგზავნილი ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

ეროველკვერეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიან ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწერნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ცალკე ნუმერი ორი შაური. ფული გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ, კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის“ სტამბაში).

მუშაობს
სრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების
სამკურნალო აბანო

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭიერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სავადსახეგვარ ავთმყოფობას: **ქარებს (რეგმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუქს, სიმაწყვალეებს, ნერვებას სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, გენერალურ ავთმყოფობას, ეგზეშეს, სამსიამეს** და სხვ. წყალი მიიღება ციცი და თფლიანც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სამყალ-საუზმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნაა ვოდაში“ ხრესილიში** სადგურზე მატარებელს გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საფენი აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის **„სტანცია სერნაა ვოდას“.**

დაიბეჭდა და იყიდება

ოცხალისა და ამბ. ზიგნის მაღაზიაში, ქუთაისში.

1. დასურათებული არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთაისის საგზ. შოლის მასწავლებელთა ჯგუფის მიერ. ფასი 7 შაური.
2. „ცხოვრება ტ მეცნიერება“. სალიტერატურო და სამეცნიერო კრებული, შედგ. ქართ. სტუდენტთა და ახალგაზდა მეცნიერთა მიერ ფ. 1 მ.
3. „ეროვნული შემოქმედება“. სასალხო ლექციები ალ. ჯ—ძისა ფ. 2 აბაზი

იბეჭდება და მალე გამოვა

ახალი რუსული პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, მრავალთა დასურათებული, შედგ. ქართ. საგზ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ და გ. იოსელიანის მიერ. ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხვის ტყაოსანი“.

ეშეკსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ. ნათარგმნ

შეკსპირის

რვა ტრაგედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანუს და რიჩარდ მესამე). გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით; 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებულ იქნება. ვისთვისაც ფასის ერთად გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადათ: პირველი შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება თფილისში: ქართველთა შორის წერა-კითხვის გემოვნებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიციაძის კანტორა „იმერეთ“-ში.

გამომცემელი **ეს. ანასტასია ალექს. მაჩაბლისა**

ხაზოსწავლო მთავრობის ნებართვით, ჩემ მიერ იხსნება მესამე ხარისხის

სპეციალური
სასწავლებელი

ყველა საშვალო სასწავლებლებისათვის ორივე სქესის ყმაწვილთათვის მოსამზადებელათ. (გიმნაზიისთვის, რეალურ სასწავლებლისთვის და სხვ). სასწავლებელში იქნება გაკვეთილები ფრანგულისა და ნემეცური ენების.

უცხო ენების სასწავლებლათ მოწვეული მყავს მასწავლებელი-სპეციალისტი. ბავშვები მიიღება 23 აგვისტოდან ივანოვის ქუჩაზე ჭიკინაძის სახლში № 38.

სწავლის ფული ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ნინო გრიგოლის ასული ლაფერაშვილისა.

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისთვის

„ბეტტი“

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით

ფერმკრთალებს, ბაბაებს ნამხეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ეურჩევ აგრეთვე ძმაკაცებს, ვინც პირს სჭირათ იპარსავს და ექერცლებთ სახე.

მოიფიქოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩეკი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს საღაგათი. 15—

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ა. ბოხრეიძისა—ქუთაისში